24/09/2025

MES 5 25 0001212593

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.09.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:00
სხდომის დასრულების დრო: 12:20
საბჭოს თავმჯდომარე:ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** -სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** -შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** -ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგულ ასანიძე** -სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** -შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ციური დურული** -სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** -შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;

8. **დავით კაპანაძე** -სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **თამარ ზარანდია** -სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
10. **ბონდო გასვიანი** -შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
11. **ირინა ლობჟანიძე** -სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
12. **ვლადიმერ ადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
14. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
15. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- **ანა ქერაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

- **ირინა ზარნაძე** - პროგრამის ხელმძღვანელი
- **ხათუნა თოდაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

აკრედიტაციის ექსპერტები

- ვერიკა ჯოვანოვიჩი (Verica Jovanovic)
- ნათია ლანდია
- ლაშა დოლიძე
- თამთა ცხოვრებაძე
- ლიანა ზაგაშვილი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:00საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობადღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველისაკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი სგანხილვა;

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განა თლება
საფეხური:მაგისტრატურა
სწავლებისენა:ქართული
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ჯანმრთელობის ხელშეწყობის მაგისტრი
დეტალურისფეროსკოდი: 0919 მედიცინა
სტატუსი:არააკრედიტებული
კრედიტები: 120

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვერიკა ჯოვანოვიჩმა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტზე მუშაობისას ჯგუფმა შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები.
უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციების ნაწილი უცვლელად დატოვა, ნაწილი კი რჩევებში გადაიტანა.
ვერიკა ჯოვანოვიჩმა დამსწრეებს გააცნო აღნიშნული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ირინა ზარნაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება შეეცდება გაითვალი სწინოს და მაქსიმალურად მოკლე დროში შეასრულოს გაცემული რეკომენდაციები.
ძირითად საბაზისო დისციპლინებში, არჩევითდისციპლინებსა და უცხო ენაში გამოყოფილია სამიზნე ნიშნულების სამი ჯგუფი და დაწესებულება კიდევ ერთხელ გადახედავს აღნიშნულ სა კითხს. 2020-2024 წლის ანალიზის დოკუმენტი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ქართულ ენაზე და,ალბათ, ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ჯგუფის თავმჯდომარე ვერ გაეცნო მას. აკადემიური პერსონალის ჩართულობაზე დაწესებულება მუდმივად მუშაობს. სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი თვითონ აფასებს სტუდენტებს შეფასების სხვადასხვა ფორმების დახმარებით, თუმცა პროგრამა მომავალში ამ მიმართულებით გაუმჯობესდება. ჯანმრთელობი თი განათლების საერთაშორისო კავშირის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ადგილს იკავებს ისეთი ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის, როგორიცაა: ინგლისი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, შვეიცარია, კანადა, ავსტრალია და ა.შ. ასევე, უნივერსიტეტი იზიარებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა, სამწუხაროდ, სწავლის შედეგებში სამიზნე ნიშნულე ბი სრულფასოვნად არ განსაზღვრულა. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული დარგობრივი მახასიათებლები ჯერ არ არის შემუშავებული, მაგრამ მათი დამტკიცების შემდეგ, აუცილებლა დ იქნება გათვალისწინებული პროგრამაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ხათუნა თოდაძემ მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ეს გამოწვევა გააზრებული აქვს და შშმ პირებისთვის მოქმედებს ლიფტი. თუმცა, მინუს ერთ სართულზე მდებარე საგამოცდო ცენტრში მათი მოხვედრა შესაძლებელია სპორტული მოედნის გავლით, სადაც არ შეხვდებათ კიბეები. აღნიშნული საჭიროების მქონე პირი მიზანშეწონილია გამოცდაზე გამოცხადდეს ერთი საათით ადრე, რათა მოხდეს მისი საგამოცდო ცენტრში შეყვანა. უნივერსიტეტის მულტიფუნქციურ ცენტრში, რომელიც 2026 წელს შევა ექსპლუატაციაში, 500 კვადრატული მეტრი დაეთმობა საგამოცდო ცენტრს და ის ყველანაირად ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის. ხათუნა თოდაძემ საბჭოს სთხოვა აღნიშნული რეკომენდაციის რჩევებში გადატანა ან მოხსნა, ვინაიდან უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს განხილული პრობლემის აღმოფხვრას.

მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა ხარისხის უზრუნველყოფასა და მის გაუმჯობესებას როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული თვალსაზრისით. მათ შორის, სამაგისტრო პროგრამაზე, რუტინულად ტარდება აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები. უკანასკნელ წლებში ეს გამოკითხვები ტარდება ელექტრონულად და ანონიმურად. არის სპეციფიური კითხვარებიც, მაგალითად, სტუდენტების პრაქტიკის ობიექტებით კმაყოფილებისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს სწავლის შედეგების ანალიზსა და დადარებას წინა წლებთან და მომავალ სამიზნე ნიშნულებთან. რა თქმა უნდა, ხარისხის უზრუნველყოფა მუდმივი პროცესია და უნივერსიტეტი ამ პროგრამის ფარგლებში შეეცდება მის განვითარებას. ხარისხის სამსახური უკვე მუშაობს "PDCA" ციკლური მოდელის მიხედვით. შესაბამისად, ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია მიზანშეწონილია გადავიდეს რჩევებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ვლადიმერ ადეიშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით, თუ რატომ არ არის დასკვნის მეექვსე გვერდზე, რეკომენდაციების ჩამონათვალში, წარმოდგენილი მემორანდუმებთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომელიც 2.2 კომპონენტის ნარატიულ ნაწილშია (დასკვნის 26-ე გვერდი) მოცემული. მან, ასევე, სთხოვა დაზუსტება, ხომ არ წარმოადგენს ეს ტექნიკურ ხარვეზს, რადგან 2.2 კომპონენტი მთლიანობაში სრულ შესაბამისობაშია შეფასებული. ასევე, აღნიშნულ კომპონენტში გაცემული რჩევაც შინაარსობრივად ამ რეკომენდაციის იდენტურია.
ვერიკა ჯოვანოვიჩმა განმარტა, რომ ეს არ არის რეკომენდაცია და უნდა იყოს რჩევა.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს. მას აინტერესებდა, რატომ არის დოკუმენტში აღნიშნული, რომ პროგრამა შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით მაშინ, როცა ჯანმრთელობის ხელშეწყობის სფეროს დარგობრივი მახასიათებელი ჯერ არ არის შემუშავებული, ხოლო ჯანდაცვის დარგობრივი მახასიათებელი საბაკალავრო პროგრამებთან არის თავსებადი.
ირინა ზარნაძემ უპასუხა, რომ საუბარი იყო "International Union of Health Promotion and Health Education"-ის მიერ მოწოდებულ საერთაშორისო სტანდარტებზე. მას აქვს მოწოდებული 9 სტანდარტი და სწავლის შედეგები: ცოდნა, გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამებისთვის დარგობრივი მახასიათებლები დამტკიცებულია 2019 წელს, ხოლო ამ წლის ბოლოს დამტკიცდება ახალი დარგობრივი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის. მასში მოცემული იქნება ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ჯანმრთელობითი განათლების ნაწილი და პროგრამა ადაპტირდება ამ მახასიათებლებთან.
ხათუნა თოდაძემ დაამატა, რომ პროგრამას 2022 წელს მიღებული აქვს "International Union of Health Promotion and Health Education"-ის საერთაშორისო აკრედიტაცია, რომელიც ვალიდურია 2027 წლამდე.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა ექსპერტებს მიმართა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, ეს რეკომენდაცია ავტორიზაციის სტანდარტებს ხომ არ შეესაბამებოდა შინაარსობრივად.
ექსპერტმა ლაშა დოლიძემ უპასუხა, რომ ვიზიტის დროს ნახსენები არ იყო ახალი ცენტრის გახსნის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია იყო ბუნდოვანი, თუმცა საბჭოზე მიღებული პასუხი სრულად დამაკმაყოფილებელია და შეიძლება რეკომენდაციის რჩევებში გადატანა.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა იკითხა, როგორ უზრუნველყოფს უნივერსიტეტი პლაგიატთან დაკავშირებით სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალტან ცნობიერების ამაღლებას. ასევე, როგორ არის ორგანიზებული სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატსა და დამთხვევაზე შემოწმების

მექანიზმი. ვინ არის პასუხისმგებელი ამ პროცესზე, ვინ წერს საბოლოო დასკვნას პლაგიატის აღმოჩენის შესახებ და დამთხვევის პროცენტული რაოდენობის დებულებით გათვალისწინებულ ზღვართან შესაბამისობის შესახებ.
ხათუნა თოდაძემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტში არსებობს პლაგიატის შემოწმების წესი, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და აღნიშნული დოკუმენტი მოცემული იყო სააკრედიტაციო პაკეტშიც. საბაკალავრო დონიდან დაწყებული, სტუდენტები მუდმივად იღებენ ამ საკითხზე ინფორმაციას. აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნა ხაზგასმულია ხელშეკრულებაშიც. სამაგისტრო დონეზე ხელმძღვანელი სტუდენტებს თავიდანვე აცნობს პლაგიატის წესს, ხოლო აკადემიური პერსონალი არის მუდმივად ინფორმირებული. როდესაც სამაგისტრო ნაშრომი დაწერილია და მზად არის დასაცავად, პროგრამის ხელმძღვანელი აგზავნის მას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების რეგულირების სამსახურში, შემდეგ ეტაპზე ნაშრომი ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და შემდეგ კი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორს, რომელიც კურირებს უშუალოდ პლაგიატზე შემოწმების პროცესს შესაბამისი ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით. პასუხი კი ბრუნდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და დგინდება მსგავსების მაჩვენებლის შესაბამისობა წესით განსაზღვრულ ნორმასთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წყვეტს პლაგიატის დაშვების ან არ დაშვების და ნაშრომის გადამუშავების საკითხს. თუ პირველ ჯერზე სტუდენტის ნაშრომის მსგავსების მაჩვენებელი ძალიან მაღალი არ არის, სტუდენტს ეძლევა ნაშრომის გადამუშავებისა და დაცვის შესაძლებლობა.
ირინა ზარნაძემ დაამატა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ნაშრომი წინასწარ შეამოწმონ პლაგიატზე და მხოლოდ ამის შემდეგ წარადგინონ ოფიციალური პროცედურების მიხედვით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 12:00
დასრულებისდრო: 12:10

საბჭოს თავჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ “საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 დამე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 დამე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ემუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმის წარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ ”სსიპ - განათლები სხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისადა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების" სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედტაცია კლასტერის ვადით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 11 სექტემბრის 12:20 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე